სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი

მუხლი 1. რეგულირების საგანი

ეს წესი განსაზღვრავს სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლაში (შემდგომში – სკოლა) მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა

1. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობას, სექტორების, ცვლებისა და სასწავლო შენობების მიხედვით, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს სკოლა, რომელიც ვალდებულია პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა ჯამური რაოდენობის 10% განსაზღვროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. სკოლამ უნდა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების პროპორციულად გადანაწილება პარალელურ კლასებში. რიცხოვნობის განსაზღვრისას დამრგვალება ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასარგებლოდ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რიცხოვნობის ფარგლებში, ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დაურეგისტრირებლობის ან ამ წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საჯარო სკოლა უფლებამოსილია აღნიშნული რიცხოვნობა გამოიყენოს ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეგისტრაციისთვის.

4. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადები დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. სკოლა პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა) რიცხოვნობის შესახებ მონაცემებს ასახავს ზოგადი

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ფარგლებში.

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი
მუხლი 3. სკოლის პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაცია

1. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის/ფორმების შესაბამისად.

2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ეტაპებზე სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად ელექტრონული რეგისტრაციის (შემდგომში – რეგისტრაცია) და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. რეგისტრაცია ხორციელდება ოთხ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპზე – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის;

ბ) მეორე ეტაპზე – იმ კატეგორიის მოსწავლეებისათვის, რომელთა და-ძმაც სწავლობს ამ საჯარო სკოლაში, რომელთა მშობელი/მეურვე/მზრუნველი ამ საჯარო სკოლის თანამშრომელია, რომელთა ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში;

გ) მესამე ეტაპზე – იმ კატეგორიის მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირთა წრეს (საყოველთაო რეგისტრაცია);

დ) მეოთხე ეტაპზე – ამ პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირთა რეგისტრაციისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების საჯარო სკოლაში წარუდგენლობის გამო გამოთავისუფლებულ ან თავისუფალ ადგილებზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, რეგისტრაციას/რეგისტრაციის გაუქმებას უზრუნველყოფს სკოლა.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რეგისტრაციას ახორციელებს პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა ტექნიკურად ეხმარება მშობელს რეგისტრაციის განხორციელებაში.

6. ამ მუხლით დადგენილ ეტაპებზე რეგისტრაცია შესაძლებელია იმ მოსწავლისთვის, რომელიც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყებისას აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით და მისი ასაკი არ აღემატება 10 წელს.

7. რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ ერთ საჯარო სკოლაში.

8. რეგისტრაციის ოთხივე ეტაპის ვადის ამოწურვამდე მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი უფლებამოსილია გააუქმოს რეგისტრაცია მართვის სისტემის მიერ რეგისტრაციისას მინიჭებული უნიკალური კოდის გამოყენებით და ამავე ვადაში განახორციელოს ხელახალი რეგისტრაცია.

9. ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მოსწავლის მშობლი/კანონიერი წარმომადგენლი სკოლას წარუდგენს ჩასარიცხად საჭირო აუცილებელ დოკუმენტებს.

მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის მიერ პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების საჯარო სკოლაში წარუდგენლობის გამო გამოთავისუფლებულ ან თავისუფალ ადგილებზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ეტაპებისათვის დამატებითი რეგისტრაცია შესაძლებელია გამოცხადდეს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით რეგისტრაციას უზრუნველყოფს სკოლა გამოთავისუფლებული ან თავისუფალი ადგილების ფარგლებში.

11. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში რეგისტრაციის შემთხვევაში, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენლი უთითებს პირის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაზე და მულტიდისციპლინური გუნდის მიერ პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის შეფასების მოთხოვნის მიზნით ავსებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მომართვის ფორმას, რომელსაც დაურთავს შესაბამის დოკუმენტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივრებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაუდგენლობის შესახებ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნას და ხელახალი შეფასების დროს, მოსწავლეს დაუდასტურდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, მისი რეგისტრაცია და ჩარიცხვა ხორციელდება რეგისტრაციის მეორე ეტაპზე, პირველ ეტაპზე გამოყოფილი ლიმიტების ფარგლებში. მოსწავლის რეგისტრაციას და ჩარიცხვას ახორციელებს ის საჯარო სკოლა, რომელშიც იყო რეგისტრირებული პირველ ეტაპზე, დასკვნის მიღებიდან, არაუგვიანეს ორი სამუშაო დღის ვადაში.

13. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაუდგენლობა, ასევე პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის მიზეზით პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეუფასებლობა, არის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი. რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლე უნდა დარეგისტრირდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ვადაში.

14. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, სკოლა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შესაბამისი ღილაკის გამოყენებით, ასახავს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის შედეგს (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა, სპეციალური საგანმანათლებლო

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი
საჭიროების დაუდგენლობა ან შეუფასებლობა) და ტვირთავს აღნიშნულ დასკვნას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის შემთხვევაში, საჯარო სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაუდგენლობის ან შეუფასებლობის შემთხვევაში, საჯარო სკოლა აუქმებს პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის რეგისტრაციას და აცნობებს აღნიშნულის თაობაზე პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

მუხლი 4. სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა

1. სკოლა ვალდებულია, ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ დოკუმენტების წარდგენიდან ორ სამუშაო დღეში განიხილოს დოკუმენტაცია და:

ა) ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ღილაკის გამოყენებით დაადასტუროს, კანონმდებლობით დადგენილი, მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება;

ბ) შეუსაბამო ან არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, დამატებით განუსაზღვროს ვადა ხარვეზის აღმოფხვრისთვის, არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;

გ) დასაბუთებული უარი განუცხადოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს წარდგენილი დოკუმენტაციის მიღებაზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჯარო სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ.

3. საჯარო სკოლა ვალდებულია, პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის/მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია და ამ მოსწავლის/მოსწავლეების პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე.

4. ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჯარო სკოლაში პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში, ავტომატურად უქმდება რეგისტრაცია.

5. ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადების გასვლის შემდეგ რესურსცენტრის თანხმობისა და საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, საჯარო სკოლა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, ხოლო ჩარიცხული მოსწავლის შესახებ მონაცემები და ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი5. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ

კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა

1. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

2. მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოსკანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ

ენაზე).

3. გარდა მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხი აუცილებელი დოკუმენტებისა, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირის ვადაში სკოლას წარუდგენს საქმის წარმოებისთვის საჭირო შემდეგ დოკუმენტებს:

2 ფოტოსურათი ზომით 3X4;

ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა100);

დაბადების მოწმობის ასლს;

დედის და მამის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;

სოციალურად დაუცველისა და დევნილის სტატუსის არსებობის შემთხვევაში, სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. სკოლაში (გარდა პირველი კლასისა) მოსწავლეთა ჩარიცხვა

1.მობილობის წესით სკოლაში დაწყებითი (გარდა პირველი კლასისა), საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი მშობლის/ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი მომართვის საფუძველზე მოსწავლის სკოლაში მიღების თაობაზე.

2. მობილობისგან განსხვავებული წესით ჩარიცხვის მოთხოვნისას მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი,

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი
რომელიც ადასტურებს პირის მიერ იმ სახის განათლების მიღებას, რომელიც წინ უძღვის ჩასარიცხი კლასის განათლებას.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე.

4. პირის, რომლის ასაკი აღემატება 10 წელს და არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია ან მან გარკვეული მიზეზების გამო გამოტოვა კლასი/კლასები, სკოლაში ჩარიცხვა ხორციელდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 5^1 პუნქტის შესაბამისად.

5. სკოლა ვალდებულია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, ჩარიცხული მოსწავლის შესახებ მონაცემები და ამ მოსწავლის/მოსწავლეების ჩარიცხვის თაობაზე შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი/აქტები ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 7. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა
1. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა 2005–2006 სასწავლო წლიდან 2014-2015 სასწავლო წლამდე სკოლაში პირველ კლასში შესულ მოსწავლეებისთვის განსაზღვრულია 30 მოსწავლით.
2. 2014-2015 სასწავლო წელს სკოლაში შემსვლელი პირველკლასელებისთვის და ყოველი მომდევნო თაობისთვის კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 25 მოსწავლით.

3. ამ პუნქტის 1-ლი და მე-2 მუხლებით დადგენილი მაქსიმალური რაოდენობების ფარგლებში, სკოლის დირექტორი, მშობლის განცხადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ შესაბამის კლასში, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე.

4.თუ კონკრეტულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს ამ პუნქტის 1-ლი და მე-2 მუხლებით დადგენილი მაქსიმალურ რაოდენობებს, სკოლის დირექტორი, საჭიროებების გათვალისწინებით, მშობლის წერილობით მომართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონკრეტული მოსწავლისთვის გამონაკლისის სახით შესაბამის კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის გაზრდის ნებართვის თაობაზე, რომელიც ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოსწავლეთა მაქსიმალურ ოდენობასთან დაკავშირებით არ უნდა აღემატებოდეს 35-ს, ხოლოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობასთან დაკავშირებით - 29-ს.

4. სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სკოლაში, კონკრეტულ კლასში ჩარიცხვის თაობაზე.

მუხლი 8. სკოლაში (გარდა პირველი კლასისა) დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში, მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

1. სრულწლოვანი მოსწავლის, ხოლო არასრულწლოვანი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

2. მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოსკანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენა ზე).

მუხლი 9. სკოლაში უცხოეთში გარკვეული კლასის/კლასების ზოგადი განათლების მიმღები მოსწავლის ჩარიცხვა

1.მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მომართავს სკოლას უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის დასკვნის მომზადებისა და მოსწავლის შესაბამის კლასში ჩარიცხვის თხოვნით. განცხადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე);
- საგანმანათლებლო დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
- მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
- უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა).

2. სკოლა მოსწავლესთან გასაუბრების საფუძველზე, მოსწავლის გონებრივი შესაძლებლობებისა და განვითარების დონის გათვალისწინებით იღებს მიზანშეწონილობის გადაწყვეტილებას მოსწავლის კონკრეტულ კლასში ჩარიცხვასთან დაკავშირებით; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციების და ასევე დასკვნის სარეკონდაციო ხასიათის ნიმუშის შესაბამისად (იხ. დანართი 1) ადგენს უცხოეთში წინა კლასში გავლილი საგნების შესაბამისობას საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან.

დასკვნაში მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგნები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებს და ამ საგნებში მიღებული შეფასებების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები, ასევე მიეთითება ის საგნები, რომელთა შესაბამისობა სკოლამ ვერ დაადგინა და რომლებიც, შესაბამისობის დაუდგენლობის გამო მოსწავლემ უნდა დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ან ექსტერნატის ფორმით.

3. განცხადების წარმოებაში მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, სკოლა ამზადებს უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის დასკვნას და eFlow-ს საშუალებით, მშობლის განცხადებასთან ერთად წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის მომართვის საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების შესაძლებლობას სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით.

4. სკოლის მიერ მომზადებული შესაბამისობის დასკვნის საფუძველზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე. ცენტრი მოსწავლის სახელზე გასცემს საგანმანათლებლო დოკუმენტს "უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება". დოკუმენტის ასლი ელექტრონულად ეგზავნება სკოლას.

4. ცენტრის მიერ გამოცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტის მიღებისთანავე, სკოლის დირექტორი დოკუმენტის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ აღიარების დოკუმენტში მითითებულ კლასში.

5. იმ შემთხვევაში, თუ განათლების აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტიდან არ ირკვევა, თუ რომელ კლასში აქვს მოსწავლეს მიღებული განათლება, იგი ირიცხება ასაკის შესაბამის ან, მისი თანხმობის შემთხვევაში, უფრო დაბალ კლასში.

6. მოსწავლე უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ან ექსტერნატის ფორმით.

7. იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლემ ვერ შეძლო ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საგნების დაძლევა სასწავლო წლის დასრულებამდე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ არის უფლებამოსილი მოსწავლე გადაიყვანოს მომდევნო კლასში.

მუხლი 10. მოსწავლის სტატუსის შეჩერება

1. სკოლა ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;

ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;

გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

დ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა ვალდებულია მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით, დაადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზები. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა ვალდებულია განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ახორციელებს ვიზიტს ოჯახში დამრიგებლის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შესაფასებლად.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჩერდება მოსწავლის სტატუსი და თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა/მონაწილეობის მიუღებლობა დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში, გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, სკოლა მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული აქტი და ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი
6. სტატუსშეჩერებული მოსწავლის პირადი საქმე ინახება სკოლაში.

7. მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მოსწავლის მშობელი ვალდებულია სკოლას დაუბრუნოს მოსწავლისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული სკოლის ბალანსზე რიცხული ქონება (სახელმძღვანელოები, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნები, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა.)
იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე (I-III კლასელი) აღარ წარმოადგენს მოსწავლის სტატუსის მქონე პირს, შეჩერებული აქვს მოსწავლის სტატუსი, ან I-III კლასში სწავლის პერიოდში გადავა კერძო სკოლაში, სადაც არ ხორციელდება პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“, იგი ვალდებული დაუბრუნოს კომპიუტერი შესაბამის სკოლას.

მუხლი 11. მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა

1. სკოლაში მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის პირობების გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით, კონკრეტული კლასისთვის სასწავლო წლის დასრულებისას და მოსწავლის მიერ კლასის/საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის დადასტურებისთანავე.
2. თუ მოსწავლემ წინსწრებით, ასაკის შესაბამისად, ექსტერნატის ფორმით წარმატებით დაძლია I-XII კლასში/კლასებში შემავალი საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სკოლის დირექტორის ბრძანებით მოსწავლე ირიცხება მომდევნო კლასში.

მუხლი 12. მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა

1. მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა უნდა მიმართოს იმ სკოლას, რომელმაც შეუჩერა მოსწავლეს სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს.

2. იმ შემთხვევაში, თუ სკოლამ შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე, მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მიმართოს იმ სკოლას, სადაც სურს სწავლის გაგრძელება.

3. მოსწავლეს აღუდგება მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა სტატუსი.

4. იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, მას სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში.

5. მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია სკოლამ უნდა ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი
ამ წესში მითითებული ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე და მონაცემების დროულად ასახვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სკოლის დირექტორი.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები
1.დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

დანართი

ზოგადსაგანმანათლებლო და აღიარების სისტემები

უკრაინა

უკრაინაში ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს (12 კლასი):

1. დაწყებითი განათლების საფეხური - 4 წელი;
2. საბაზო განათლების საფეხური - 5 წელი;
3. საშუალო განათლების საფეხური - 3 წელი.

სასკოლო ასაკი იწყება 6 წლიდან.

უკრაინაში მოქმედებს შეფასების 12 ქულიანი სისტემა

უკრაინა	საქართველოესგ
10-12 ქულაფრიადი	9-10 ქუ ლამაღალი
7-9 ქულაკარგი	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი
4-6 ქულა საკმარისი	5-6 ქულასაშუალო
1-3 ქულა	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

არადამაკმაყოფილებელი	1-2 ქულადაბალი

აზერბაიჯანის რესპუბლიკა

აზერბაიჯანის ზოგადი განათლების სისტემა მოიცავს სამ საფეხურს (11 კლასი):

1. დაწყებითი განათლება (1-4 კლასი);
2. საბაზო განათლება (5-9 კლასი);
3. საშუალო განათლება (10-11 კლასი).

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მოქმედებს 5 ქულიანი შეფასების სისტემა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა	საქართველოესგ
5 ქულა ფრიადი	9-10 ქულამაღალი
4 ქულაკარგი	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი
3 ქულა საკმარისი	5-6 ქულასაშუალო
1-2 ქულა არადამაკმაყოფილებელი	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
	1-2 ქულა დაბალი

სომხეთის რესპუბლიკა

სომხეთის რესპუბლიკაში ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს და სწავლების ხანგრძლივობაა 10 წელი. კერძოდ:

1. დაწყებითი განათლება (1-3 კლასი);
2. საბაზო განათლება (4-8 კლასი);
3. ზოგადი განათლება (9-10 კლასი).

სასკოლო ასაკი იწყება 7 წლიდან.

სომხეთის რესპუბლიკაში მოქმედებს 10 ქულიანი შეფასების სისტემა.

სომხეთის რესპუბლიკა	საქართველოესგ
9-10 ქულა ფრიადი	9-10 ქულა მაღალი
7-8 ქულაკარგი	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი
5-6 ქულა საკმარისი	5-6 ქულასაშუალო
1-4 ქულა არადამაკმაყოფილებელი	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
	1-2 ქულადაბალი

ბელორუსის რესპუბლიკა

ბელორუსის რესპუბლიკის ზოგადი განათლება მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- I საფეხური — დაწყებითი განათლება (I – IV კლასები);
- II საფეხური — საბაზო განათლება (V – IX კლასები);
- III საფეხური — საშუალო განათლება (X – XI კლასები, საღამოს სკოლებში –X – XII).

I და II საფეხურების ზოგადი საშუალო განათლება აერთიანებს ზოგად საბაზო განათლებას, ხოლო I, II და III საფეხურები - სრულ საშუალო განათლებას.

ბელორუსის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოქმედებს ცოდნის შეფასების 10 ქულიანი სისტემა.

სადაც 10 მაქსიმალური დადებითი შეფასებაა, 5 მინიმალური დადებითი შეფასება:

- საუკეთესო (9-10);
- ძალიან კარგი (6-8);
- დამაკმაყოფილებელი/საშუალო (3-5);
- არადამაკმაყოფილებელი (2);
- არჩათვლა (1).

ბელორუსის რესპუბლიკა	საქართველოესგ
9-10 ქულაფრიადი	9-10 ქულამაღალი
6 - 8 ქულაკარგი	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი
3-5 ქულა საკმარისი	5-6 ქულასაშუალო

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

1-2 ქულა არადამაკმაყოფილებელი	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
	1-2 ქულა დაბალი

რუსეთის ფედერაცია

რუსეთის ფედერაციაში ზოგად განათლების მიღება ხდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწსებულებებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპალური ან კერძო. ტიპის მიხედვით შეიძლება იყოს საშუალო სკოლა, გიმნაზია ან ლიცეუმი. სწავლის ხანგრძლივობ არისს 11 წელი.

ზოგადი განათლება მოიცავს 3 საფეხურს:

1. დაწყებითი; (1 – 4 კლასი)
2. არასრული საშუალო (საბაზო); (5 – 9 კლასი)
3. სრული საშუალო. (10-11 კლასი)

დაწყებითი განათლება მოიცავს 4 წელიწადს, I-IV კლასი. I კლასის მოსწავლეების შეფასება არ ხდება, მათ ეძლევათ წახალისების მიზნით ვარსკვლავი-5, კვადრატი-4 და სამკუთხედი-3 შეფასების შესაბამისი ფორმის ფიგურები. II -დან XI კლასის ჩათვლთ მოქმედებს 5 ბალიანი შეფასების სისტემა.

არასრული საშუალო (საბაზო) განათლება მოიცავს 5 წელს, V-IX კლასებს. IX კლასის დასრულების შემდეგ მოსწავლე იღებს საბაზო განათლების მიღების დამადასტურებელ ატესტატს (Аттестат об основном общем образовании) , რომლის საფუძველზეც მას უფლება ეძლევა სწავლა განაგრძოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის X კლასში, დაწყებით ან საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

სრული საშუალო განათლება მოიცავს 2 წელს, X-XI კლასებს. XI კლასის დასრულების შემდეგ მოსწავლე იღებს სრული საშუალო განათლების მიღების დამადასტურებელ ატესტატს (Аттестат о среднем (полном) общем образовании).

რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს შეფასების 5 ქულიანი სისტემა.

რუსეთი	საქართველოესგ
5 ქულა ფრიადი	9-10 ქულა მაღალი
4 ქულაკარგი	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი
3 ქულა საკმარისი	5-6 ქულასაშუალო
2 ქულა არადამაკმაყოფილებელი	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
	1-2 ქულა დაბალი

საბერძნეთის რესპუბლიკა

საბერძნეთის რესპუბლიკაში დაწყებითი და საბაზო განათლება აუცილებელია ყველასათვის. საშუალო განათლება მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- დაწყებითი განათლება (Dimotiká);
- საბაზო განათლება (Gymnasio);
- და საშუალო განათლება (lykeio);

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოქმედებს ცოდნის შეფასების 20 ქულიანი სისტემა.

სადაც მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 20, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება - 10.

დაწყებით კლასებში, პირველი კლასიდან მესამე კლასის ჩათვლით მოქმედებს ცოდნის შეფასების შემდეგი სისტემა:

- A - საუკეთესო;
- B - ძალიან კარგი;
- Γ - კარგი;
- Δ ან E - არადამაკამყოფილებელი

საბერძნეთის რესპუბლიკა	საქართველოესგ
18-20 ქულაფრიადი	9-10 ქულამაღალი
14-17 ქულაკარგი	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი
10-13 ქულასაკმარისი	5-6 ქულასაშუალო
0-9 ქულა	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
არადამაკმაყოფილებელი	1-2 ქულადაბალი

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო განათლება მოიცავს შემდეგ საფეხურებს: დაწყებითი განათლება, საბაზო განათლება და საშუალო განათლება.

სწავლების ნორმატიული პერიოდი არის, 12 წელი.

ამერიკის შეერთებული შტატების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოქმედებს ასქულიანი ლათინური ასეოებისაგან შემდგარი ცოდნის შეფასების შემდეგი სისტემა:

- A (ძალიან კარგი) = 95-100 ან 90-100 %;
- B (კარგი) = 85-95 ან 80-90%;
- C (საშუალო) = 75-85 ან 70-80%;
- D (დამაკმაყოფილებელი) = 65-75 ან 60-70%;
- F (ჩაჭრა/არადამაკმაყოფილებელი) = 65 ან 60%.

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა A – 90-100%, მინიმალური - D – 60-70%. 60% ქვემოთ - ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ზოგჯერ, აღნიშნულ შეფასებებს ემატება + და - (მაგ: A+ ან A- ა.შ), ასევე ქულები (GPA). საშუალო ქულა (GPA) არის მიღებული ქულების ჯამი, გაყოფილი და აღებული საათების მთლიან რაოდენობაზე. შეფასების თითოეულ ნიშანს, რომელსაც იღებს მოსწავლე, შეესაბამება ქულის სპეციფიური ციფრი, გამომდინარე საათობრივი დატვირთვის იმ რაოდენობიდან, რომელიც მოსწავლემ მოიპოვა კონკრეტული სასწავლო კურსის შედეგად. Grade point average (GPA)-ის მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 4.0.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სკოლების ნაწილში მოქმედებს ცოდნის შეფასების 11 ქულიანი სისტემა:
A+ - A = 11 ; A– = 10, B+ = 9; B = 8; B = 7; C+ = 6; C = 5; C– = 4; D+ = 3; D = 2; D– = 1; E/F = 0.

ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს სკოლებში მოქმედი შეფასებათა სისტემები შემდეგ თანაფარდობაშია:

შეფასება	ქულა GPA	პროცენტი	ქართული შეფასება
A	4	90 – 100	10-9
B	3	80 – 89.9	8-7
C	2	70 – 79.9	6

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

D	1	60 – 69.9	5
F	0	<59	

ამერიკის შეერთებული შტატები	საქართველოესგ
A+ A A- 90 – 100	9-10 ქულა მაღალი
B+ B B- 80-90%	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი
C+ C C– 70-80%	6 ქულა საშუალო
D+ D D-60-70%	5 საშუალო
E/F 0-59 ქულა	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
	1-2 ქულა დაბალი

ისრაელის სახელმწიფო

ისრაელის სახელმწიფოში სკოლები იყო 4 ტიპად;

სახელმწიფო, სახელმწიფო-რელიგიური, რელიგიური და არაბული (უკანასკნელი მცირე რაოდენოვითაა)

ისრაელის სახელმწიფოში საშუალო განათლება იყოფა შემდეგ საფეხურებად:

- დაწყებითი საშუალო სკოლა -1 დან 6 კლასის ჩათვლით, 6 დან 12 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი;
- არასრული საშუალო სკოლა 7დან 9კლასის ჩათვლით, 12 დან 15 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი;
- სრული საშუალო სკოლა - 10დან 12 კლასის ჩათვლით, 15 დან 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი;
- ისრაელში მოქმედებეს შეფასების 100 ქულიანი სისტემა.

ისრაელის სახელმწიფო	საქართველოესგ
95-100 ფრიადი	10 ქუ ლამაღალი
85-94ძალიან კარგი	9 ქულამაღალი
75-84კარგი	8 ქულა საშუალოზე მაღალი
65-74საშუალოდ კარგი	7 ქულა საშუალოზე მაღალი
55-64დამაკმაყოფილებელი	6 ქულა საშუალო
41-54საშუალოდ დამაკმაყოფილებელი	5 ქულა საშუალო
<=40	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
ჩაჭრა	1-2 დაბალი

იტალიის რესპუბლიკა

იტალიის რესპუბლიკაში საშუალო სკოლები არის სახელმწიფო და არასახელმწიფო. არასახელმწიფო (კერძო) სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ჩააბარონ სპეციალური გამოცდები, რათა აიღონ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ატესტატი. სრული საშუალო განათლება იტალიის რესპუბლიკაში მოიცავს სამ საფეხურს:

- დაწყებითი განათლება - გრძელდება 5 წელი. 6 დან 11 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი;

  ხუთწლიანი განათლების პირველი ეტაპია „scuola elementare 1“ ხოლო მეორე ეტაპი - „scuola elementare 2“. ამ საფეხურზე სწავლა ყველასთვის უფასოა. პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი დოკუმენტი „diploma di licenza elementare“.

- საშუალო განათლების პირველი ციკლი (scuola media ან SCUOLA SECONDARIA DI PRIMO GRADO), - გრძელდება 3 წელი. 11 დან 14 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი.
- საშუალო განათლების მეორე ციკლი (scuola secondaria superiore ან esame di Stato) - გრძელდება 5 წელი. 14 დან 18-19 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი. ამ ეტაპზე მოსწავლეები წყევტენ გაარძელონ განათლება პროფესიულ სასწავლებლებში თუ მოემზადონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხად. უნივერსიტეტებში ჩარიცხვის მსურველები სწავლას აგრძელებენ შესაბამისი პროფილის ლიცეუმებში. მაგალითად კლასიკური ლიცეუმი (liceo classico), ტექნიკური ლიცეუმი (liceo tecnico) და ა. შ. ლიცეუმის დასრულების შემდეგ ისინი აბარებენ გამოცდას „esame di maturita“ და იღებენ სრული საშუალო განატლების დამადასტურებელ დოკუმენტს „diploma di maturita“.

რაც შეეხება იტალიის რესპუბლიკის საშუალო სკოლებში შეფასების სისტემას სხვადასხვაგავარია:

- ათქულიანი
- ოცქულიანი
- ასქულიანი
- ჩააბარა/ვერ ჩააბარა.

ესპანეთის სამეფო

ესპანეთში ზოგადი განათლების მიღება ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში - სკოლებში, რომელიც ორი სახისაა:

- კერძო სკოლები;
- საჯარო (სახელმწიფო) სკოლები.
-

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა ესპანეთში სამსაფეხურიანია და იგი მოიცავს 6 დან 18 წლამდე პერიოდს:

- დაწყებითი (Primary school);
- არასრული საშუალო, საბაზო (Compulsory Secondary Education);
- სკოლის შემდგომი სავალდებულო ე.წ.,,ბაჩილერატო".

<u>პირველი საფეხური -დაწყებითი სკოლა</u>

<u>(Primary school)</u>

ზოგადი განათლების პირველი საფეხური არის დაწყებითი სკოლა ე.წ <u>Primary school</u> 6-12 წლის ასაკის მოსწავლეთათვის. დაწყებით სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა არის 6 წელი. დაწყებითი სკოლა მოიცავს სწავლების სამ ციკლს:

- პირველი ციკლი - 6 - დან 8 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის;
- მეორე ციკლი - 8 - დან 10 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის;

მესამე ციკლი - 10 - დან 12 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის; <u>მეორე საფეხური - სავალდებულუ საშუალო განათლება</u>

<u>(Compulsory Secondary Education)</u>

ზოგადი განათლების მე-2 საფეხური არის სავალდებულო საშუალო განათლება ე.წ ESO – Education Secundaria Obligatoria 12 - დან 16 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის. სწავლების ხანგრძლივობა არის 4 წელი. მეორე საფეხურის დასრულების შემდგომ მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათლება. ესპანეთის კანონმდებლობის თანახმად დაწყებითი და სავალდებულო საშუალო განათლების მიღება სავალდებულოა.

<u>მესამე საფეხური- სკოლის შემდგომი სავალდებულო ე.წ.,,ბაჩილერატო"</u>

<u>(PostoCompulsory Schooling Bachillerato)</u>

სკოლის შემდგომი სავალდებულო ე.წ.,,ბაჩილერატო" მოიცავს სწავლის ორ

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

წლიან პერიოდს. მხოლოდ ,,ბაჩილერატოს დასრულების შემდგომ ეძლევა პირს უფლებაჩააბაროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ესპანეთში მოქმედებს შეფასების 10 ქულიანი სისტემა.

ესპანეთის სამეფო	საქართველოესგ
10 - 9.00 (Matrícula de Honor (MH) - Sobresaliente) ბრწყინვალე	9-10 ქულამაღალი
8.99 - 8.00 (Notable alto) ძალიან კარგი	8 ქულა საშუალოზე მაღალი
7.99 - 7.00 (Notable bajo) კარგი	7 ქულა საშუალოზე მაღალი
6.99 - 6.00 (Bien) კარგი	6 ქულა საშუალო
5.99 - 5.00 (Suficiente) ყველაზე დაბალი გამსვლელი	5 ქულა სასუალო
0 -5	1 -4 საშუალოზე დაბალი, დაბალი

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა გერმანიაში ორსაფეხურიანია, და იგი მოიცავს სწავლის 13 წელს.

პირველი საფეხური

ზოგადი განათლების პირველი საფეხური არის დაწყებითი სკოლა ე.წ Grundschule, რომელზეც ირიცხებიან მოსწავლეები 5-6 წლის ასაკიდან. დაწყებით სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა არის 4-6 წელი. პირველი ორი წლის განმავლობაში ყველა დისციპლინა ისწავლება კლასის დამრიგებლის მიერ. მესამე კლასიდან გაკვეთილებს უძღვებიან საგნობრივი პედაგოგები. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები იღებენ რეკომენდაციას, სად უმჯობესი იქნება მათთვის სწავლის გაგრძელება: ძირითად სკოლაში, რეალურში, გიმნაზიასა თუ ე.წ ერთიან სკოლაში.

მეორე საფეხური

ზოგადი განათლების მე-2 საფეხური მოიცავს სკოლების რამდენიმე ტიპს, კერძოდ:

- ძირითადი სკოლა (Hauptschule);
- რეალური სკოლა (Realschule);
- გიმნაზია (Gymnasium);
- ერთიანი სკოლა (Gesamtschule).

Hauptschule - ძირითადი სკოლა

ძირითადი სკოლა (Hauptschule) გულისხმობს მეცხრე კლასამდე სწავლას. სკოლის დამთავრებისას გაიცემა არასრული საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი, რომელიც პროფესიულ სკოლაში (Berufsschule) ჩაბარების უფლებას იძლევა.

Realschule - რეალური სკოლა

რეალური სკოლა (Realschule) გულისხმობს მეათე კლასამდე სწავლას. აქ მოსწავლეები შედარებით ვრცელ, მაგრამ მაინც არასრულ განათლებას იღებენ. გარდა პროფსკოლებისა, მათ შეუძლიათ ორწლიანი კურსის გავლა სახელმწიფო სამსახურში ჩასადგომად (მათ შორის - პოლიციასა და ბუნდესვერშიც), ასევე - სწავლის გაგრძელება გიმნაზიაში (Gymnasium) ან სპეციალიზებულ გიმნაზიაში (Fachoberschule).

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

Gymnasium - გიმნაზია

გიმნაზია (Gymnasium) გულისხმობს მეთორმეტე ან მეცამეტე კლასამდე სწავლას. კლასების რაოდენობა იმაზე დამოკიდებული, რომელ ფედერალურ მიწას ეკუთვნის სკოლა, თუმცა სკოლების უმეტესობა 13-კლასიანია. მეთერთმეტე კლასში მოსწავლეები, როგორც წესი, სიღრმისეული შესწავლისთვის 2-3 საგანს ირჩევენ, თუმცა ეს პროფილის დავიწროებას არ ნიშნავს - გიმნაზიის მოსწავლე მრავალმხრივ განათლებას იღებს. აქ მიღებული ატესტატი მას ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების უფლებას აძლევს. გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები არ ტარდება, აბიტურიენტს ატესტატის ნიშნების მიხედვით იღებენ. თუ ჩარიცხვის პრეტენდენტი უმაღლეს სასწავლებელში არსებულ ადგილზე მეტია, იღებენ საუკეთესოებს, დანარჩენი კი მომლოდინეთა რიგში გადაინაცვლებს. ეს უკანასკნელნი მომდევნო სასწავლო წელს ჩაირიცხებიან

Gesamtschule - ერთიანი სკოლა

ე.წ. ერთიანი სკოლები (Gesamtschule). აქ ყველა მოსწავლე ათწლიან სწავლებას გადის და არასრული საშუალო განათლების ატესტატს იღებს. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მოზარდები გიმნაზიაში აგრძელებენ სწავლას ან რომელიმე ხელობის ათვისებას იწყებენ. გერმანიის ზოგიერთ ფედერალურ მიწაზე „ერთიანი სკოლა" ნიშნავს იმას, რომ ერთსა და იმავე შენობაში განთავსებულია ძირითადი სკოლა, რეალური სკოლა და გიმნაზია. ამას ორმაგი მიზანი აქვს: გაუადვილოს მოწაფეებს ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა და სუსტი მოსწავლეები, რომლებიც, როგორც წესი, Hauptschule-ში სწავლობენ, არასრულფასოვნების კომპლექსისგან გაათავისუფლონ.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედებს შეფასების 6 ქულიანი სისტემა:

- 1 ძალიან კარგი (sehr gut, very good) ;
- 2 კარგი (gut, good);
- 3 დამაკმაყოფილებელი ;
- 4 საკმარისი (ausreichend, sufficient) ;
- 5 დეფიციტური (mangelhaft, deficient);
- 6 არასაკმარისი (ungenügend, insufficient)

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	საქართველოესგ
1 – 1,5 ძალიან კარგი (*sehr gut*, very good)	9-10 ქულა მაღალი
1,6 – 2,3 კარგი (*gut*, good);	8 ქულა საშუალოზე მაღალი
2,4 – 2,9 კარგი (*gut*, good);	7 ქულა საშუალოზე მაღალი
3,0 – 3,5 დამაკმაყოფილებელი	6 ქულა საშუალო
3,6 – 4,0 4 საკმარისი (*ausreichend*, sufficient	5 ქულა სასუალო
5 -6 დეფიციტური (*mangelhaft*,deficient); არასაკმარისი (*ungenügend*, insufficient	1 -4 საშუალოზე დაბალიდაბალი

ირანის ისლამური რესპუბლიკა

სკოლამდელი განათლების საფეხური - ეს არის ერთ წლიანი საგანმანთლებლო პროგრამა 5 წლის ასაკის ბავშვებისათვის.

ირანში ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს (12 კლასი):

1. დაწყებითი განათლების საფეხური - 1-5 კლასამდე - 5 წელი (ასაკი -6 – 11 წელი);
2. საბაზო განათლების საფეხური - 6-8 კლასამდე - 3 წელი;
3. სრული საშუალო განათლების საფეხური -9 – 12 კლასამდე - 4 წელი.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მოქმედებს შეფასების 20 ქულიანი სისტემა.

ირანის ისლამური რესპუბლიკა	საქართველოესგ
17 – 20 ქულა ფრიადი	9-10 ქულამაღალი
14 - 16.9 ქულა კარგ	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

12 - 13.9 ქულა საკმარისი	5-6 ქულასაშუალო
10 - 11.9 ქულა არადამაკმაყოფილებელი	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
	1-2 ქულადაბალი

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის ზოგადი განათლების სისტემა მოიცავს ორ საფეხურს :

1. საბაზო განათლება (1-9 კლასი/ ასაკი4/5 - 14/15 წლამდე)
2. სრული საშუალო განათლება (10-12 კლასი/ ასაკი 15 -17 წლდამდე)

ეგვიპტის არაბულ რესპუბლიკაში მოქმედებს შეფასების 100 ქულიანი სისტემა.

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა	საქართველო ესგ
75-100 ქულა ფრიადი	9-10 ქულა მაღალი
65-74 ქულა კარგი	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი
50-64 ქულა საკმარისი	5-6 ქულა საშუალო
0-49 ქულა არადამაკმაყოფილებელი	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
	1-2 ქულა დაბალი

სირიის არაბული რესპუბლიკა

საბავშო ბაღის (kindergarten-ის) შემდეგ ბავში შედის სკოლაში. 1-9 კლასამდე განათლების მიღება ითვლება სავალდებულოდ. აღნიშნული საფეხურის ბოლოს ტარდება ეროვნული გამოცდები, რომლის ჩაბარების შემდეგაც მოსწავლეს უფლება აქვს განაგრძოს ზოგადი განთლება ან აირჩიოს პროფესიული განათლება.

სირიის არაბულ რესპუბლიკაში ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს და სწავლების ხანგრძლივობაა 12 წელი. კერძოდ:

1. დაწყებითი განათლება (1-6 კლასი / ასაკი 6-12);
2. საბაზო განათლება (7 -9 კლასი /ასაკი 12 – 15);
3. სრული ზოგადი განათლება (10 - 12 კლასი / ასაკი 15 – 18).

სასკოლო ასაკი იწყება 7 წლიდან.

სირიის არაბულ რესპუბლიკაში მოქმედებს შეფასების 100 ქულიანი სისტემა.

სირიის არაბული რესპუბლიკა	საქართველო ესგ
94.99 - 100.00 ქულა ფრიადი	9-10 ქულა მაღალი
75.00 - 84.99 კარგი	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი
65.00 - 74.99 საკმარისი	5-6 ქულა საშუალო
0-64.99 ქულა არადამაკმაყოფილებელი	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
	1-2 ქულა დაბალი

საფრანგეთის რესპუბლიკა

საფრანგეთის რესპუბლიკაში ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს (12 კლასი):

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

.1 - დაწყებითი სკოლა - école élémentaire

- (6 - 7 წელი) პირველი კლასი - Cours Préparatoire; CP
- (7 - 8 წელი) მეორე კლასი - Cours élémentaire 1ère année ; CE1
- (8 – 9 წელი) მესამე კლასი - Cours élémentaire 2ème année ; CE2
- (9 – 10 წელი) მეოთხე კლასი - Cours moyen 1ère année ; CM1
- (10 - 11 წელი) მეხუთე კლასი - Cours moyen 2ème année ; CM2

საშუალო სკოლა - école secondaire

Collège

- (11 - 12 წელი) მე-6 კლასი - Sixième; 6ème
- (12 - 13 წელი) მე-7 კლასი - Cinquième; 5ème
- (13 – 14 წელი) მე-8 კლასი - Quatrième; 4ème
- (14 – 15 წელი) მე-9 კლასი - Troisième ; 3ème

Lycée

- (15 -16 წელი) მე-10 - Seconde; 2nde
- (16 - 17 წელი) მე-11 - Première; 1ère
- (17 - 18 წელი) მე-12 – Terminale

საფრანგეთის სრული საშუალო სკოლის ატესტატს ეწოდება - baccalauréat

საფრანგეთის რესპუბლიკაში მოქმედებს 20 ქულიანი შეფასების სისტემა.

საფრანგეთის რესპუბლიკა	საქართველოესგ
16-20 ქულა (très bien: TB)	9-10 ქულამაღალი
14-15.9 ქულა (bien: B)	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

12-13.9 ქულა (assez bien: AB)	5-6 ქულასაშუალო
0-11.9 ქულა არადამაკმაყოფილებელი	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
	1-2 ქულადაბალი

პორტუგალიის რესპუბლიკა

სკოლამდელი განათლების საფეხური საბავშვო ბაღის საფეხური - ეს არის 3 წლიანი წლიანი საგანმანთლებლო პროგრამა.

პორტუგალიაში ზოგადი განათლება მოიცავს 4 საფეხურს (12 კლასი):

1. დაწყებითი განათლების პირველი ნაწილის საფეხური 1-4 კლასამდე – 4 წელი;
2. დაწყებითი განათლების მეორე ნაწილის საფეხური 5-6 კლასამდე - 2 წელი;
3. დაწყებითი განათლების მესამე ნაწილის საფეხური 7-9 კლასამდე - 3 წელი;
4. სრული საშუალო განათლების საფეხური -10 – 12 კლასამდე - 3 წელი.

პორტუგალიის რესპუბლიკაში მოქმედებს შეფასების 20 ქულიანი სისტემა.

პორტუგალიის რესპუბლიკა	საქართველოესგ
18.00 - 20.00 ქულა Muito bom con distincao e louvor Excelente	10 ქულამაღალი
16.00 - 17.99 ქულა Muito Bom	9 ქულამაღალი
14.00 - 15.99 ქულა Bom	7-8 ქულა საშუალოზე მაღალი

მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და სტატურის შეჩერების წესი

10.00 - 13.99 ქულა Suficiente	5-6 ქულასაშუალო
1.00 - 9.99 ქულა Mediocre Mau	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი
	1-2 ქულადაბალი

დასკვნის ნიმუში

	უცხოეთში გავლილი საგნები შესაბამისი კლასი ----	უცხოეთში მიღებული შეფასებები	ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თავსებადი საგნები კლასი ----	ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				

- საქართველოში ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებში მოქმედი შეფასების სისტემის შესაბამისად მინიმუმ დადებით შეფასებას წარმოადგენს - 5 ქულა.

- V და უფროსი კლასის შემთხვევაში სავალდებულოა დასკვნაში მითითებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები.